ტერმინი	განმარტება	გამოსახულება
ართრიტი	ჯანმრთელობის პრობლემა, რომლის დროსაც ადამიანს მოძრაობისას აღენიშნება სახსრების სიხისტე და ტკივილი.	
გორგოლაჭები	ბორბლები, რომლებიც გორვის დროს ბრუნავს (ტრიალებს). მაგალითად, პატარა ზომის ბორბლები, რომელიც გააჩნია ოფისის სკამებს ან ეტლს წინა მხარეს.	
კათეტერი	რბილი მილი, რომელიც გამოიყენება შარდის ბუშტიდან შარდის გადევნებისთვის. გამოიყენება იმ პირების მიერ, რომლებიც შარდის ბუშტის დამოუკიდებლად ან საკუთარი ნებით დაცლას ვერ ახერხებენ. კათეტერის ტიპის მიხედვით, შესაძლოა საჭირო იყოს სხვა დამატებითი აღჭურვილობის გამოყენება, როგორიცაა ფეხზე მისამაგრებელი შარდმიმღები ჩანთა.	
გარემო ბარიერები	ადამიანის გარემოში (მაგალითად, სახლში ან მის გარეთ, აგრეთვე თემში) არსებული დაბრკოლებები, რომლებიც ზღუდავს ან ბლოკავს მისი გადაადგილების შესაძლებლობას. გარემოს ბარიერების მაგალითებია: • საფეხურები, რომლებიც ართულებს ეტლის მომხმარებლისთვის გადაადგილებას. • კარის ვიწრო ღიობი, რომელშიც სასიარულო ჩარჩოს მომხმარებელი ვერ გადის/ეტევა.	
დაუძლურებული	სუსტი, უღონო და დაბალი ენერგიის მქონე ადამიანი. ხშირად ვლინდება ასაკის მატებასსა და მათი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შედეგად.	
მოსაჭიდებელი ძელი	მიმაგრებული ძელი, რომელსაც ადამიანი ეჭიდება წონასწორობის შენარჩუნების ან გადაადგილების მიზნით.	
ამწე	მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის აწევას ღვედის/ჩასაჯდომის გამოყენებით, რაც ერთი ზედაპირიდან მეორესზე გადაყვანას უწყობს ხელს	

ტერმინი	განმარტება	გამოსახულება
შეუკავებლობა	მდგომარეობა, როცა ადამიანისთვის გაძნელებულია ან შეუძლებელია შარდის ბუშტის (შარდის შეუკავებლობა) ან ნაწლავის (დეფეკაციის შეუკავებლობა) ნებითი კონტროლი.	
სხეულის დამჭერები	ეტლის, ტუალეტის ან შხაპის სკამის დანამატები, რომლებიც უზრუნველყობს ადამიანის მეტ მხარდაჭერას. სხეულის დამჭერები კვალიფიციური სპეციალისტის მიერ უნდა იყოს დანიშნული. ტუალეტის ან შხაპის სკამის სხეულის დამჭერების მაგალითებია: • ღვედი • დამატებითი გვერდითი დამჭერები • თავის დამჭერი.	
ნაწოლი	კანის დაზიანება, რომელიც ჩვეულებრივ ძვლოვან მიდამოზე მდებარეობს და წარმოადგენს გავრცელებულ პრობლემას ისეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც მგრძნობელობის (შეგრძნების) ან მოძრაობის /პოზის შეცვლის პრობლემები აღენიშნებათ .	
ზურგის ტვინის დაზიანება	ზურგის ტვინის დაზიანება, რომელიც ჩვეულებრივ უბედური შემთხვევით ან ავადობით არის გამოწვეული. დაზიანების მიღების შემდეგ, სხეულიდან გაგზავნილი სიგნალები აღარ მიეწოდება თავის ტვინს ზურგის ტვინის გავლით. ხშირად, დაზიანების დონის ქვემოთ ადამიანი კარგავს მოძრაობის უნარსა (პარალიზებულია) და მგრძნობელობას.	
ინსულტი	თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, რამაც, შესაძლოა გამოიწვიოს სხეულის ცალი მხარის სისუსტე ან დამბლა, ასევე მეტყველებისა და მგრძნობელობის პრობლემებიც.	
ტუალეტის ტიპები:		

ტერმინი	განმარტება	გამოსახულება
• **დასაჯდომი ტუალეტი**	უნიტაზის ტიპი, რომლის გამოყენების დროსაც ადამიანები მასსზე სხედან.	
• **ჩასაკუზი (აზიური)**	ტუალეტის ტიპი, რომლის გამოყენების დროსაც ხდება ჩაკუზვა	
გადაყვანა/გადასვლა (ტრანსფერი)	სხეულის გადასვლა ერთი ზედაპირიდან მეორეზე.	